

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
აკადემია



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

თბილისი 2016

სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია

სასწავლო უნივერსიტეტი

მისამართი: გმირი კურსანტების ქუჩა N4, თბილისი, საქართველო

საფოსტო ინდექსი: 0178

დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი: პაატა ტურავა
ტელეფონი: 2414041, 2573323

ვებ-გვერდი: www.policeacademy.ge

ელ-ფოსტა: policeacademy@mia.gov.ge

საბაკალავრო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სამართლის საბაკალავრო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის ბაკალავრი (Bachelor of Law)

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS – 6000 საათი. სავალდებულო კრედიტები - 210 ECTS, ხოლო არჩევითი კომპონენტებიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს - 30 ECTS.

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია სტუდენტისათვის სამართლის სფეროში დაგროვილი ცოდნის მიცემა და იურისტისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება. კურსდამთავრებული უნდა იყოს დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი, მაღალი სამართლებრივი შეგნების მქონე და კონკურენტუნარიანი პროფესიონალი, რომელიც შეძლებს საქმიანობას იურისტის ყველა იმ პოზიციაზე სადაც არაა საჭირო შესაბამისი სერტიფიკატის ქონა.

სწავლის შედეგი:

სწავლის შედეგები ასახავს კურსდამთავრებულის მიერ პროგრამის გავლით მიღებულ ცოდნასა და უნარებს. კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება როგორც დარგობრივი, ასევე ზოგადი კომპეტენციები.

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს ეცოდინება/გაცნობიერებული ექნება:

- იურიდიული ენის თავისებურებები და სამართლის სისტემის ძირითადი პრინციპები და განმარტების მეთოდები;

- სამართლის დარგების ევოლუციის (ადრე ფეოდალიზმიდან საქართველოს პირველ რესპუბლიკამდე), ქართული სამართლის ისტორიის წყაროები, სამართლის დარგებად დაყოფის კრიტერიუმები და სამართლებრივი ურთიერთობები;
- ანტიკურ ხანაში ქალაქ რომსა და მთელ რომის იმპერიაში მოქმედი სამართალი; რომის საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის ცალკეული ინსტიტუტები;
- ეროვნული სამართლის ცალკეული ინსტიტუტთათვის დამახასიათებელი თავისებურებები და მათ შორის არსებული ურთიერთკავშირები, რაც მისცემს ამ ინსტიტუტების ფუნქციონირებისათვის საჭირო თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრების საშუალებას;
- სამართლის ცალკეული ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და სრულყოფის საქმეში ცალკეული მოზაროვნების ღვაწლი და დამსახურება;
- სამოხელეო სამართლის ძირითადი არსი; საჯარო სამსახურის არსი და ძირითადი პრინციპები; საჯარო სამსახურში მიღების, შეჩერების და შეწყვეტის სამართლებრივი მექანიზმები;
- საკონსტიტუციო სამართლის მნიშვნელობა და ადგილი სამართლის სისტემაში; ადგილობრივი თვითმმართველობის აკიოხები; ადამიანის უფლებების ეროვნული და საერთაშორისო გარანტიების ურთიერთმიმართება და ურთიერთგავლენა და მათი დაცვის მნიშვნელობა;
- სამოქალაქო სამართლის წყაროები, ინსტიტუტები და ძირითადი კატეგორიები;
- ქონებრივი სამართლის არსი, სანივთო სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობა, შეცვლა, შეწყვეტა და მისი ძირითადი ინსტიტუტები;
- ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის ძირითადი პრინციპები, ცნებები და კატეგორიები სიღრმისეულად;
- სახელშეკრულებო ურთიერთობების არსი და ბუნება, კონკრეტული ხელშეკრულებები და მათთვის დამახასიათებელი თავისებურებები;
- კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების თეორიული საფუძვლები და ამ ურთიერთობების მომწესრიგებელი ზოგადსამართლებრივი პრინციპები. საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლებრივი ურთიერთობები და ინსტიტუტები;

- სამოქალაქო საპროცესო სამართლის არსი და საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტები;
- სისხლისსამართლებრივი, ადმინისტრაციული და ადმინისტრაციული საქმეთა წარმოება საქართველოს საერთო სასამართლოების ცალკეულ ინსტანციაში;
- საგამოძიებო მოქმედებების სწორად დაგეგმვისა და ჩატარების არსი;
- ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის ძირითადი პრინციპები, ცნებები და კატეგორიები, სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღებისას კომპლექსური საკითხების გაცნობიერება;
- ვალდებულებითი ურთიერთობები, მისი წარმოშობის, შესრულების, დარღვევის, მეორადი მოთხოვნების და ვალდებულების შეწყვეტის არსი;
- კვალთა სახეობები, მათი მოძიებისა და ამოღების გზები. კრიმინალისტიკური ტექნიკისა და ტაქტიკის მნიშვნელობა გამოძიების პროცესში.
- მართლწესრიგის არსი და მოწესრიგების სფერო, პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებები, რომელიც საშუალებას მისცემს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული პრინციპები კრიტიკულად გაიაზროს;
- მენეჯმენტის ადგილისა და დანიშნულების აღწერა, მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები და მიდგომები, მენეჯმენტის ფუნქციების განხორციელების მექანიზმები, ხელმძღვანელობის სტილი, ორგანიზაციის მიზანთა განსაზღვრის წესი და მათი რეალიზაციის სტრატეგიისა და ტაქტიკის ფორმირება;
- საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, მათი დახასიათება, მსგავსება-განსხვავება, რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხები, საწარმოთა მართვის ორგანოები, საკუთრების უფლების თავისებურებანი კორპორაციულ საზოგადოებაში, მეწარმის რეგისტრაციის არსი და მიზნები;
- საერთაშორისო სამართლის პრინციპები, მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები და მისი ძირითადი ინსტიტუტები;
- საკანონმდებლო ტექნიკის ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას; გააზრებას;

- MS Office - ის კომპიუტერული პროგრამები და Internet Explorer ბრაუზერით მუშაობა და შესაბამისი ინფორმაციის მოძიების წესი;
- საქართველოს პოლიციის და სპეცსამსახურების საქმიანობის ისტორიული საფუძვლები, სახელმწიფოს დამოუკიდებლად და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში არსებობის პერიოდებში;
- სისხლის სამართლის ცნება, მიზანი და სისტემა, სისხლის სამართლის პრინციპები, საქართველოს სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები; დანაშაულის ცნება და სისტემა, დანაშაულის ძირითადი ელემენტების ზოგადი დახასიათება, სამართლებრივი სიკეთის და კონკრეტული ქმედების ობიექტის ურთიერთგამიჯვნის საკითხები;
- დანაშაულის ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის საკითხები; დანაშაულის ჩადენის სტადიები. დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს წარმოშობილი პრობლემური საკითხები;
- სასჯელის მიზნები და სახეები. სასჯელის დანიშვნა. პირობითი მსჯავრი. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების ცალკეული პრობლემური საკითხები;
- ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა არსი, სისხლისსამართლებრივი დახასიათება, რაც გულისხმობს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საფრთხის შემქმნელი დელიქტების, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ მიმართული ქმედებისთვის დამახასიათებელი სისხლისსამართლებრივი ნიშნების სიღრმისეული ცოდნას, რომელიც მოიცავს ამ დანაშაულთა შესახებ არსებული თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას;
- ეკონომიკური სფეროს, საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის, სახელმწიფოს, სასამართლო ხელისუფლების, სამხედრო სამსახურის და კაცობრიობის

წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ნიშნები, ძირითად და დამატებით მაკვალიფიცირებელი გარემოებები და მათი გამოყენების სპეციფიკა;

- სისხლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგად და კერძო ნაწილთან დაკავშირებული ინსტიტუტების ფართო ცოდნა;
- სტუდენტს გაცნობიერებული ექნება სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისა და სისტემატიზაციის საფუძვლები, ოფიციალური ტექსტის ორგანიზების მეთოდები და სპეციფიკა;
- შრომის სამართლის მოქმედების სფერო, შრომითი ურთიერთობები და სუბიექტები, შრომითი ურთიერთობების წარმოშობა, სამუშაოს შესრულება, შრომის პირობების დაცვა და შრომითი ურთიერთობების შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლები;
- პოლიციელის საქმიანობის საჭირო ორთაბრძოლის ილეთები;
- ცეცხლსასროლი იარაღისა და პოლიციის შეიარაღებაში არსებული სპეციალური საშუალებების უსაფრთხო, ეფექტური და კანონის შესაბამისად გამოყენების ზოგადი საკითხები. საპოლიციო ღონისძიებების სამართლებრივი საფუძვლები; სროლის ეფექტური მანძილის განსაზღვრის წესი და მისი უსაფრთხოდ გამოყენების პრინციპები;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- განსაზღვროს სამართლებრივ ნორმათა იერარქია, მოქმედების ფარგლები და კოლიზიის შემთხვევაში სათანადო ნორმის შეფარდებას;
- კანონმდებლის ნების იდენტიფიცირებას და სასამართლო გადაწყვეტილების გამოყენებული ნორმატიული საფუძვლების გაგებას და სამომავლოდ გამოყენებას;
- ხელშეკრულებათა შედგენის მექანიზმის შემუშავებას, აგრეთვე ხელშეკრულების ფორმისა და ტიპის შერჩევას, მოქმედების ვადის, მხარეთა უფლება-მოვალეობების, პასუხისმგებლობის და ა.შ. საკითხების განსაზღვრას;
- სანივთო, სახელშეკრულებო, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლებრივი და სხვა კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სწორად შეფასებას, აღნიშნული სფეროებში წარმოქრილი პრობლემებისადმი საჭირო სამართლებრივი ნორმისადმი მისადაგებას.

აგრეთვე აღნიშნულ სფეროებში შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებას, ხელშეკრულებებისა და სარჩელების მომზადებას;

- სამართლებრივი პრობლემის იდენტიფიცირებას, სამართლის ნორმის სწორად შერჩევას, მის გამოყენებას, საერთო სასამართლოებში საქმეთა განხილვის პროცესში მონაწილეობას და საკუთარი ან სხვისი ინტერესების დაცვას;
- კრიმინალისტიკური ტაქტიკისა და კრიმინალისტიკური ტექნიკის პრაქტიკაში სრულფასოვნად გამოყენებას;
- გამოიყენებს ადამიანის უფლებებს, როგორც უშუალოდ მოქმედ სამართალს და იდენტიფიცირებული სამართლებრივი პრობლემის გადაწყვეტისას იმოქმედებს ადამიანის უფლებათა დასაცავად;
- სისხლის სამართლის კოდექსის ძირითადი პრინციპების, დანაშაულის ძირითად და დამატებით მაკვალიფიცირებელ ნიშანთა გამოყენებას პრაქტიკაში წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად. დანაშაულის შემადგენლობის და მისი ელემენტების გამოვლენას და შეფასებას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლების დადგენისას;
- ყველა სახის ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილეობის მიღებას, პრობლემის გადაწყვეტის გზების დასახვას, პროცესის წარმართვას და საჭირო ნორმატიული აქტის მომზადებას;
- განსაზღვროს სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმები და ჩამოაყალიბოს ამ ნორმებით რეგულირებული ურთიერთობებში არსებული პრობლემების გადაჭრის გზები;
- გამოიყენოს მართლწესრიგის დაცვის ღონისძიებები და კონკრეტულ სიტუაციაში, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის პრინციპების დაცვით, გამოიყენოს იძულების ის ღონისძიება, რომელიც იქნება ყველაზე ადექვატური;
- მენეჯერული უნარ-ჩვევების განმტკიცება და მართვის პროგრესული სტილის გამომუშავება: ხელმძღვანელობა და ლიდერობა, ხელქვეითთა მოტივაცია, მმართველობითი ინსტრუმენტების შერჩევა, კონფლიქტის გადაჭრის მეთოდებისა და ხერხების გამოყენება;

- კანონის მოთხოვნათა დაცვით დააფუძნოს და რეგისტრაციაში გაატაროს საზოგადოება შერჩეული სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად შესაფერისი ორგანიზაციული სამართლებრივი ფორმით;
- საერთაშორისო ნორმებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების რეალიზაციასთან დაკავშირებული ქმედების განხორციელებას;
- სამოხელეო სამართალთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემების შეფასებას, საჯარო მოსამსახურეთა სახეების ერთმანეთისგან გამიჯვნას, საჯარო მოხელის სამსახურში მიღებისათვის აუცილებელი წინაპირობების არსებობის განსაზღვრას კონკრეტულ შემთხვევაში. საჯარო მოხელის უფლებების დაცვას სასამართლოში;
- საკუთარი პროფესიისათვის საჭირო დონეზე საქართველოს სინამდვილეში დანერგილი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას, საჭირო დოკუმენტების მოძიებას და შედგენას; შრომის პროცესის გამარტივებას, საოფისე პროგრამების და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას სხვადასხვა დავალებების შესასრულებლად;
- სხვადასხვა პერიოდების შედარების შედეგად განსაზღვროს პოლიციის (სპეცსამსახურების) ორგანიზაციის აუცილებლობა სახელმწიფოში მისი მოწყობის სახეობის მიუხედავად;
- დანაშაულის ნიშნების და მისი ელემენტების ერთმანეთისგან გამიჯვნას; პირის მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი გარემოებების დადგენას;
- არაერთგზისობის, დანაშაულთა ერთობლიობის, დანაშაულის რეციდივისა და ზოგიერთ ორგანიზებულ დანაშაულთა და მათ სუბიექტთა გამიჯვნას, დანაშაულის თანამონაწილეთა დადგენასა და მათ პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტას;
- სასჯელისა და პირობითი მსჯავრის გამოყენების წესის განსაზღვრას. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების ცალკეული პრობლემური საკითხების გადაწყვეტას;
- ეკონომიკური სფეროს, საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის, სახელმწიფოს, სასამართლო ხელისუფლების, სამხედრო სამსახურის და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შემადგენლობის ნიშნების შეფასებას და ქმედებისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას;

- შეძლებს საქმიანი დოკუმენტაციის შედგენას, დამუშავებას, მასში ცვლილებების შეტანასა და დადგენილი სტანდარტებით გადმოცემას;
- შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ სამართლებრივ დოკუმენტაციაზე მუშაობას, სამართლებრივად გააზრებული დებულებებისა და დოკუმენტის მომზადებას, შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილი პრობლემური საკითხების გადაწყვეტას;
- პოლიციის შეიარაღებაში არსებული სპეცსაშუალების და ცეცხლსასროლი იარაღის უსაფრთხოდ და ეფექტურად გამოყენებას; იძულების ღონისძიებების გამოყენებას თანაზომიერების პრინციპის და ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვით;

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- ათვისებული მეთოდების გამოყენებით სამართლებრივი პრობლემების ცალკეული სამართლის დარგისათვის მიკუთვნების, პრობლემების არსის გაგებისა და შესაბამისი დასკვნის გაკეთების უნარი;
- სახელშეკრულებო, საოჯახო და მემკვიდრეობის, ასევე სხვა კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში წარმოშობილი პრობლემის გამოვლენას, გაანალიზებას და გამოსავლის ძიებისას არგუმენტირებული გადაწყვეტილების მოძიებას;
- სადავო სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის შეფასების საფუძველზე და პროცესუალურ ნორმებზე დაყრდნობით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებას, რაც მას დაეხმარება სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე კანონშესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში;
- ყოველი კონკრეტული შემთხვევის სრულფასოვნად შეფასების საფუძველზე, საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, არჩეული მიდგომის განვითარებას და ლოგიკურ შედეგამდე მიყვანას;
- კონკრეტულ საგამომიებო მოქმედებებთან დაკავშირებული გარემოებების გაანალიზებას და საკუთარი აზრის ჩამოყალიბებას;
- სისხლისსამართლებრივი პრაქტიკის განზოგადებას, თეორიული და პრაქტიკული ნიუანსების გაანალიზებას და ამის საფუძველზე საკუთარი პოზიციის არგუმენტირებას;

- ქართული სამართლის ისტორიის ცალკეული ინსტიტუტების სამართლებრივ შეფასებასა და ანალიზს;
- ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პრობლემის ანალიზის საფუძველზე იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებზე დაყრდნობით, ადმინისტრაციული ორგანოს პრაქტიკის და სასამართლო გადაწყვეტილებების გათვალისწინებით ჩამოაყალიბოს პრობლემის გადაწყვეტის საკუთარი მიდგომები და დასაბუთებული ხედვები;
- კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების განმარტებას და სასამართლო პრაქტიკის ანალიზს, განზოგადებას, სამართლებრივად მნიშვნელოვან საკითხთა გამოცალკევებასა და საკუთარი აზრის არგუმენტირებას კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებაში;
- კონკრეტული სიტუაციას ანალიზის საფუძველზე მიუსადაგოს საგამომიებო ტაქტიკა, განსაზღვროს გამოძიების მიმართულება, რომელიც იქნება მაქსიმალური ეფექტის მქონე პრობლემის გადასაჭრელად;
- გამიჯნოს რომის სამართლის მრავალფეროვანი წყაროები და განსაზღვროს მათი განვითარების მიმართულებები;
- საჯარო სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე წარმოშობილი საკითხების შეფასების საფუძველზე დასკვნის ჩამოყალიბებას, რაც დაეხმარება საჯარო სამსახურთან და საჯარო მოხელესთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემის სამართლიან გადაწყვეტაში;
- გაანალიზოს აგენტურულ-ოპერატიულ-ანალიტიკური საქმიანობის მაკავშირებლები ოპერატიულ ვითარებასთან და ეროვნულ უსაფრთხოებასთან და მათი იგნორირების უარყოფითი ეფექტი სახელმწიფო უსაფრთხოების თვალსაზრისით;
- ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციას, სიტუაციის ელემენტარულ ანალიზსა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას;
- ქმედებაში დანაშაულებრივი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი და ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებების არსებობის დასაბუთებას;

- დამოუკიდებლად შეაფასოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა თუ მათში ჩარევის აუცილებლობა;

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- ინდივიდუალურ და გუნდურ მუშაობას;
- საკუთარი მსჯელობის საჯაროდ, არგუმენტირებულად და გასაგებად წარმოდგენას;
- იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციას, სანივთო, საოჯახო და მემკვიდრეობის, სახელმშეკრულებო და კერძო სამართლის სხვა საკითხებზე ცოდნის დამაჯერებლად და დასაბუთებულად წარმოჩენას;
- იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ეფექტურ კომუნიკაციას სასამართლოში და სამართალწარმოების სხვა ეტაპებზე;
- სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მოძიებას კონსტიტუციური სამართლით მოწესრიგებულ ინსტიტუტებზე, მათ დამუშავებას და როგორც სამართალმცოდნისათვის ასევე არასამართალმცოდნისათვის გასაგები ენით, კონსტიტუციური ტერმინოლოგიის გამოყენებით, ან წერილობითი თუ ზეპირი განმარტებებით ინფორმაციის სრულფასოვნად მიწოდებას;
- საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით და საერთაშორისო აქტებით გათვალისწინებულ ადამიანის ძირითად უფლებებზე და თავისუფლებებზე განმარტებების მიცემას და დაცული სფეროსა თუ ჩარევის ფარგლების გასაგები ფორმით ახსნას;
- განცხადება/საჩივრებზე ამომწურავი, სამართლებრივად დასაბუთებული და გასაგები ფორმით პასუხის გადმოცემას;
- სისხლის სამართლის დანაშაულთან დაკავშირებულ საკითხებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის წარმოებას;

- მოამზადოს და წარადგინოს ანგარიში ზეპირი და წერილობითი ფორმით, დავის განსჯადობაზე, ადმინისტრაციული სარჩელის დასაშვებობის და დასაბუთებულობის შესახებ;
- ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემებთან დაკავშირებით საკუთარი შეხედულებების ზეპირი და წერილობითი ფორმით გადმოცემას;
- მართლწესრიგის ღონისძიების განხორციელებისას მოქალაქეებს განუმარტოს ღონისძიების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები და უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები;
- კანონმდებლობის თეორიის, მეთოდისა და საკანონმდებლო ტექნიკის საკითხების ახსნა-განმარტებას;
- ურთიერთობას საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლებთან შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების და საკომუნიკაციო-საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
- ინგლისურენოვანი/გერმანულენოვანი წყაროების მოძიებასა და დამუშავებას, მიღებული ინფორმაციის გამოყენებას საკუთარი ცოდნის გამდიდრებისათვის და ამ ცოდნის სხვისთვის ზეპირი ან წერილობითი ფორმით გადაცემისათვის მშობლიურ თუ ინგლისურ ენაზე.

სწავლის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- სამართლის სხვადასხვა სფეროში არსებული საინფორმაციო წყაროების გაცნობას, სიახლეებისადმი მიდევნებას, საკანონმდებლო ცვლილებების მუდმივ რეჟიმში გადამოწმებას და მანამდე უცნობი საკითხებით ცოდნის მუდმივად განახლებას;
- საკუთარი ცოდნისადმი კრიტიკულ მიდგომას, სამართლის სფეროში არსებული პრობლემური კითხვებისა და საკითხების მოძიებას, სამეცნიერო ლიტერატურაში მათი გადაჭრის გზების მოძიებას და ცოდნის მუდმივ გამდიდრებას;

- სამართლის სხვადასხვა სფეროში სასამართლო პრაქტიკის განხილვას, ცოდნის გაფართოებას და საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებას, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენას;
- პირველადი წყაროების და სამეცნიერო ნაშრომების განზოგადებული ანალიზის საფუძველზე, ეროვნული უსაფრთხოების ორგანიზების, მათ შორის ოპერატიულ-ანალიტიკური მიმართულებით ცოდნის გაფართოებას;
- პრობლემურ საკითხებზე გამოსავლის დამოუკიდებლად მოძიებას და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას.

ღირებულებები

- სტუდენტს გათავისებული ექნება სამართლის სხვადასხვა სფეროში იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლები, დაკისრებული მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების მნიშვნელობა; პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისას გაგებით მოეკიდება სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვას;
- სტუდენტს გააზრებული ექნება სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთის მნიშვნელობა და მოწოდებული იქნება ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას;
- სტუდენტს გათავისებული ექნება საკუთარ პროფესიულ საქმიანობასთან კანონის უზენაესობის, სამართლიანობის, დემოკრატიული ღირებულებების, სოციალური ფასეულობების დაცვის მნიშვნელობა; გააზრებულად იმოქმედებს კაცობრიობის ამ მონაპოვარისათვის ხელშეწყობისა და უზრუნველყოფის თვალსაზრისით;
- საჯარო სამსახურის სპეციფიკის გათვალისწინებით, სტუდენტი შეძლებს გაიაზროს ის ძირითადი უფლებები რომლის საფუძველზეც კანონი სახელმწიფო ორგანოებს აძლევს შესაძლებლობას შეაღწიოს ადამიანის კონსტიტუციით გათვალისწინებულ ძირითად უფლებებში და შესაბამისად ჩამოუყალიბდეს ხედვა მათი ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად;
- სტუდენტი გაითავისებს მართლწესრიგის სფეროში ძირითადი ფასეულობებს, სოციალური და სამოქალაქო პასუხისმგებლობის მზაობას, ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობას და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვას;

- სტუდენტს გააზრებული ექნება სახელმწიფოს ოპერატიულ ვითარებაზე უარყოფითად მოქმედი დანაშაულების პრევენციის, დროული გამოვლენის და აღკვეთის წარმატებული პროცესების ორგანიზებისათვის სახელმწიფო (მათ შორის პოლიციური) სტრუქტურების სისტემური რეორგანიზაციის მნიშვნელობა და ამ პროცესში ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა.

სამაგისტრო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამა საპოლიციო რეგულირების სფეროში

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საპოლიციო რეგულირების სამართლის მაგისტრი (Master in Police Regulation Law)

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 132 ECTS – 3300 საათი.

პროგრამის ხანგრძლივობა - 2 წელი/4 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას (აქედან 14 კვირა სასწავლო-სააუდიტორიო და 6 კვირა საგამოცდო). ერთი სასწავლო წელი მოიცავს საშუალოდ 66 ECTS კრედიტს. ერთი კრედიტი მოიცავს 25 საათს (სტუდენტის დატვირთვა შესაბამისი კრედიტის ფარგლებში დაკონკრეტებულია სილაბუსებში).

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი:

საპოლიციო რეგულირების სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფებისათვის საშუალო მენეჯერულ პოზიციებზე სათანადო უნარებითა და ცოდნით აღჭურვილი საპოლიციო ფუნქციების განმახორციელებელი, აკადემიური განათლების მქონე თანამშრომლები, რომლებიც იქნებიან კანონის უზენაესობის, დემოკრატიული და ჰუმანური ღირებულებების მატარებელნი;

სწავლის შედეგი:

სწავლის შედეგები ასახავს კურსდამთავრებულის მიერ პროგრამის გავლით მიღებულ ცოდნასა და უნარებს. კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება როგორც დარგობრივი, ასევე ზოგადი კომპეტენციები;

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს ეცოდინება/გაცნობიერებული ექნება:

- სახელისუფლებლო შტოების წარმოშობის ისტორია, მისი ფუნდამენტური საკითხები, მიზანშეწონილობა და მართვის პრინციპები, რაც უზრუნველყოფს პოლიციელის, როგორც საჯარო მოხელეს როლს აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში;
- ადამიანის უფლებების მნიშვნელობა დემოკრატიული საზოგადოებისთვის და პოლიციელის განსაკუთრებული როლი მისი დაცვისას. ადამიანის უფლებების წყაროები: კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია მათი მნიშვნელობა და უფლებათა დაცვის სამართლებრივი მექანიზმები; უფლების დაცვისას, ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებები; აბსოლუტური უფლების მნიშვნელობა და მისი იმპერატიული ხასიათი;
- სიღრმისეულად საქართველოს პოლიციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები, პოლიციის ორგანიზაციული მოწყობის სამართლებრივი საფუძვლები, პოლიციის ფუნქციები, საპოლიციო ღონისძიებები და პოლიციის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების სამართლებრივი ფორმები, პოლიციაში სამსახურის გავლის წესი, პოლიციელის სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიები, პოლიციის საქმიანობის კონტროლის სისტემური საკითხები;
- „პოლიციის ეთიკის კოდექსით“ დადგენილი ძირითადი პრინციპები და ის ღირებულებები, რომლებსაც ეფუძნება პოლიციის ეთიკა; „პოლიციის ეთიკის

კოდექსით“ გათვალისწინებული თითოეული პრინციპის პრაქტიკული დანიშნულება და მნიშვნელობა პოლიციელის ყოველდღიურ საქმიანობაში; საზოგადოებასთან ურთიერთობისას და კოლეგებთან სავალდებულოდ დასაცავი ეთიკის ნორმები და წესები;

- სისხლის სამართლის იუსტიციის არსი; სისხლის სამართლის იუსტიციის სისტემაში შემავალი სუბიექტების საქმიანობის ძირითადი ამოცანები, მათი ერთმანეთთან კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება დანაშაულის გამოძიებისა და აღსრულების თვალსაზრისით;
- სისხლის სამართლის პროცესის კომპლექსური საკითხები;
- საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებით დასამტკიცებელი გარემოებების და მასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზების მნიშვნელობა;
- სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების მომენტიდან, პირის მიმართ შემჭიდროებულ ვადებში და მაღალი სტანდარტებით მტკიცებულებების მოპოვება ბრალდების გასამყარებლად;
- საგამოძიებო ღონისძიებების გატარებისას ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობა; ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრის გზები; პოლიციელის მიერ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებისას ადამიანის უფლებებში ჩარევის ფარგლები;
- დანაშაულობის, როგორც სოციალურ-სამართლებრივი, მასობრივი და ცვალებადი მოვლენის მნიშვნელობა;
- დანაშაულის, დანაშაულობისა და სხვა ანტისოციალური გადახრების წარმომშობი მიზეზები; დამნაშავის პიროვნების პორტრეტი, მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები;
- ვიქტიმირების საკითხები და მისი თავიდან აცილების მექანიზმები;
- დანაშაულობის თავიდან აცილებისა და დამნაშავის გამოსწორებაზე უცხოური ქვეყნების გამოცდილება და ქართული მოძღვრების კონცეპტუალური ასპექტები;

- საერთაშორისო საპოლიციო სისტემების დანიშნულება და მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების საპოლიციო სტრუქტურების საქმიანობის სფეროები, მათი ანალიზის მეშვეობით პრობლემის გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობა;
- საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის განმაპირობებელი ფაქტორები, მისი ჩამოყალიბების ეტაპები და მასთან ბრძოლის თანამედროვე სისტემა.
- საგანგებო სიტუაციების მართვა და მისი ასპექტები საპოლიციო რეგულირების სფეროში;
- საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების ორგანიზების საკითხები;
- კრიმინალისტიკის როლი გამოძიების პროცესში რაც აძლევს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას პოლიციელის მიერ თავისი საქმიანობის განხორციელებისას;
- შემთხვევის ადგილის დათვალიერების სახეები და სტადიები, მტკიცებულებათა აღმოჩენისა და ამოღების ძირითადი საშუალებები და შესაბამისი სფეროსათვის მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზები;
- სამხილების როლი ვერსიების აგების და საგამოძიებო გეგმის შედგენის პროცესში, რაც აძლევს გამოძიების წინაშე დასმული კომპლექსური პრობლემების ახლებურად გადაწყვეტის შესაძლებლობა;
- სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ადამიანის უფლებების, საკუთრების, საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამოძიების ტაქტიკა და მეთოდოლოგია;
- ორგანიზაციის სტრუქტურის გამსაზღვრელი ფაქტორები, ორგანიზაციაში კულტურისა და კლიმატის განმაპირობებლები და მათი გავლენა პერსონალზე;
- ადამიანური და მატერიალური რესურსის, ასევე დროის ოპტიმალური მართვის წესების სიღრმისეული საკითხები;

- კრიზისული სიტუაციების დროს, მათი გადაჭრის სისტემური საკითხები და ხელმძღვანელობის წესები;
- ლიდერობისათვის აუცილებელი მოთხოვნები, სხვადასხვა ტიპის ლიდერისათვის დამახასიათებელი თვისებების გავლენა თავისებურება ორგანიზაციის წარმატებაზე;
- მოლაპარაკების ტექნოლოგიების ფუნდამენტური მეთოდები, მოლაპარაკების პროცესში შესაძლო ბუნებრივი რეაქციები, ტაქტიკა და მასზე რეაგირების სტრატეგიები;
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეგულირების სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, სამართალდარღვევის საქმეებს მიკუთვნებულ ურთიერთობებზე სამართალწარმოების პროცესში წარმოშობილი პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობა;
- საპოლიციო რეგულირების სფეროში არსებული პრობლემური საკითხების კვლევის მეთოდოლოგია, რაც მისცემს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი ხედვის ფორმირების შესაძლებლობას;
- სიღრმისეულად საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, მათი სისტემა და კავშირი შიდასამართლებრივ აქტებთან;
- საგზაო სამუშაოების წარმოების პრობლემატიკა, სამშენებლო ორგანიზაციის მიერ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებულ დროებითი მოძრაობის ორგანიზაციის სქემები;
- ცეცხლსასროლი იარაღისა და პოლიციის შეიარაღებაში არსებული სპეციალური საშუალებების უსაფრთხო, ეფექტური და კანონის შესაბამისად გამოყენების კომპლექსური საკითხები. საპოლიციო ღონისძიებების სამართლებრივი საფუძვლები; სროლის ეფექტური მანძილის განსაზღვრის წესი და მისი უსაფრთხოდ გამოყენების პრინციპები;
- ინგლისური/გერმანული ენა ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი დოკუმენტის „the Common European Framework of

Reference for Languages“/ „Gemeinsameuropäisches Referenzrahmen“ მიხედვით B2(+) დონეზე;

- ინგლისურ/გერმანულ ენაში ენობრივი საკომუნიკაციო კომპეტენციები (წერა, კითხვა, მოსმენა, ზეპირმეტყველება) და ცალკეული ენობრივი ასპექტები (ლექსიკა, გრამატიკა, მართლწერა) B2(+) დონეზე;
- ინდივიდუალური და ჯგუფური ურთიერთობების დამყარება და მართვა ეფექტური კომუნიკაციის სტანდარტებზე დაყრდნობით;
- სოციალური განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია და ქცევაზე მისი გავლენის მნიშვნელოვნება;
- სოციალური გავლენების ფსიქოლოგიური ასპექტები და მათი მართვის ტექნიკები;
- კონფლიქტის არსი, მისი გამომწვევი მიზეზები, კონფლიქტური სიტუაციის გაანალიზების საშუალებები და მათი გადაჭრის გზები.
- აკადემიური წერის ძირითადი სტანდარტები, ნაშრომის დაწერისას კვლევის შინაარსობრივი და ტექნიკური მოთხოვნები;
- კვლევის საკუთარი სტრატეგიის განსაზღვრა სათანადო სამეცნიერო მასალის, მათ შორის როგორც ტრადიციული, ისე ელექტრონული უახლესი რესურსების გამოყენებით.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- განსაზღვროს ადამიანის უფლებებით დაცული სფეროს ფარგლები, კანონმდებლობით გათვალისწინებული ჩარევის შესაძლებლობები და იმოქმედოს კერძო და საჯარო ინტერესების თანაფარდობიდან გამომდინარე;
- განახორციელოს პოლიციური ფუნქციები და აღასრულოს უფლებამოსილებანი „პოლიციის შესახებ“ კანონით განსაზღვრული ძირითადი პრინციპების დაცვით;

- სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შეფასების შედეგად შეასრულოს პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების უფლებამოსილებანი; ყოველი კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად პრობლემის გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავებას და სათანადო პოლიციური ღონისძიებების გამოყენებას;
- იძულების ღონისძიებები გამოიყენოს თანაზომიერების პრინციპის სრული დაცვით; სპეცსაშუალების ნუსხიდან გამომდინარე შეარჩიოს სიტუაციის შესაბამისი სპეციალური საშუალება და გამოიყენოს იგი;
- პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისას სრულად დაიცვას „პოლიციის ეთიკის კოდექსით“ გათვალისწინებული პრინციპები; დაიცვას ეთიკის ნორმები ყოველდღიურ საქმიანობაში საზოგადოებასთან და კოლეგებთან ურთიერთობისას;
- საპოლიციო ღონისძიებების განხორციელებისას დაიცვას ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლები, გამოავლინოს მისი დარღვევის ფაქტები და იმოქმედოს, როგორც შიდასამართლებრივი, ისე საერთაშორისო სამართლით დადგენილი წესების მიხედვით;
- დაიცვას და იხელმძღვანელოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებით ოპერატიულ სამმებრო ღონისძიებებთან მიმართებაში;
- შემთხვევის ადგილის დათვალიერებას, სამართლებრივი პრობლემის კომპლექსურ შეფასებასა და მისი გადაწყვეტისათვის ორიგინალური გზების შემუშავებას;
- საექსპერტო კვლევისათვის საჭირო მასალების განსაზღვრას და მომზადებას;
- კონკრეტული დანაშაულების ფაქტებზე ვერსიების აგებას, გამოძიების დაგეგმვას, ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას, სამართლებრივი პრობლემების კომპლექსურ შეფასებას და სისხლის სამართლის საქმის ელექტრონულ წარმოებას;
- პოლიციის შეიარაღებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების მოვლას, მათ უსაფრთხოდ და ეფექტურად გამოყენებას, ისე, რომ

ზედმიწევნით დაიცვას კანონის მოთხოვნები, თანაზომიერების პრინციპი და უსაფრთხოების წესები;

- იძულების ღონისძიებების გამოყენებას თანაზომიერების პრინციპის და ადამიანის ძირითად უფლებათა პატივისცემის განუხრელად დაცვით; იძულების ღონისძიების გამოყენების თითოეული შემთხვევის დასაბუთებას; პრობლემის გადაწყვეტას ინდივიდუალური, ორიგინალური გზით სამართლებრივი ნორმებით დადგენილ ჩარჩოებში;
- საპოლიციო ღონისძიებების ხელმძღვანელობას, სათანადო და კანონიერი ბრძანებამითითებების დამოუკიდებლად გაცემას;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კომპლექსურ შეფასებას, სამართლის შესაბამისი ნორმების შეფარდებას და სამომავლოდ, სამართალდარღვევათა გამომწვევი მიზეზების თავიდან არიდების გზების შემუშავებას, სამართალდარღვევის აღკვეთას;
- პრევენციული ურთიერთობის ეფექტიან ინტერაქციას, როგორც დამნაშავესთან, ასევე დაზარალებულთან;
- დანაშაულობის პრევენციისათვის საჭირო ორიგინალური გზების შემუშავებას და გატარებას;
- სამართლებრივი ურთიერთობისადმი საჭირო სამართლებრივი ნორმის მისადაგებას, საპოლიციო რეგულირების სფეროში საქმის დამოუკიდებლად წარმართვას, რთული ვითარებიდან გამოსავლის დამოუკიდებლად მოძიებას; სხვადასხვა საპოლიციო ღონისძიებების ორგანიზებას და განხორციელებას;
- სამართლებრივ დოკუმენტებთან მუშაობას, დოკუმენტების მომზადებას, განმარტებების მეთოდების გამოყენებით არსებულ ბუნდოვან დებულებებში ცვლილებების შეტანას;
- სფეროს სხვადასხვა საკითხის კვლევას, მისი თეორიულ დამუშავებას და სამართლებრივ პრობლემებზე გადაწყვეტის გზების შემუშავებას;

- კვლევის შედეგად მიღებული დასკვნების იმპლემენტაციას პოლიციის საქმიანობაში და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით საჭირო და პრაგმატული წინადადებების შეთავაზებას პრევენციული ღონისძიებების ეფექტიანობისა თუ სამართალდარღვევებზე რეაგირების შედეგიანობის ამაღლების კუთხით;
- საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული საექსპლუატაციო მდგომარეობის დადგენას საავტომობილო გზებზე და ავტომაგისტრალზე;
- იურიდიულ არგუმენტაციაზე დაყრდნობით გამიჯნოს ერთმანეთისაგან საგანგებო სიტუაცია, ვითარება, მდგომარეობა, ინციდენტი და კატასტროფა;
- საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის, როგორცაა ნარკობიზნესი, ადამიანთ ვაჭრობა (ტრეფიკინგი), ტერორიზმი, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება), კორუფცია და „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ოპერატიულ-სამძებრო და საგამომიებო მოქმედებების დაგეგმვაში მონაწილეობას და განხორციელებას;
- გუნდური მუშაობის პრინციპებზე დარყდნობით რამდენიმე პოლიციელთან ერთად ორგანიზებულ მოქმედებას;
- პირველადი და გადაუდებელი დახმარების გაწევას წყალში თუ ხმელეთზე;
- ორგანიზაციის სტრუქტურის გათვალისწინებით თანამშრომელთა მაღალი აქტივობისა და პროდუქტიული მუშაობისათვის საჭირო კლიმატის შექმნას თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
- მულტიდისციპლინურ ჯგუფთან მოლაპარაკებისას საჭირო აქცენტების დასმას, გაუთვალისწინებელი სირთულეების გადაწყვეტის გზების შემუშავებას და მათთვის სასურველი ფორმით შეთავაზებას;
- ინგლისური/გერმანული ენის B2 (+) დონის შესაბამისი სირთულის ტექსტის აღქმას, პირად და საქმიან მიმოწერას, შესაბამისი ლექსიკური მარაგის ფარგლებში და ინგლისურენოვან/გერმანულენოვან გარემოში თავისი მოსაზრებების გამართულად გადმოცემას.

- საპოლიციო ფუნქციის განხორციელებისას შეძლებს არავერბალური კომუნიკაციის დამყარებას თავის მეწყვილესთან, როგორც საკუთარი თავის, ისე მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვის მიზნით;
- განწყობის ფენომენის ცოდნის საფუძველზე სხვისი სიტუაციური ქცევის გაგებას, ახალ გაუთვალისწინებელ გარემოში მისი ქცევის პროგნოზირებას, აგრესიული ქცევის გამომწვევი მიზეზების გარკვევას და მისი გამოვლენის ინტენსივობის შესამცირებლად ახალი ორიგინალური გზების მოძიებას;
- არსებული სოციალური დამოკიდებულებების, რწმენების და სტერეოტიპების იდენტიფიცირებას;
- გაუთვალისწინებელ გარემოში ადაპტირებას და დავალებების შესრულებას, დაშვებული შეცდომების აღმოჩენასა და აღიარებას, ძალის კონცენტრირებას და ამის საფუძველზე მაქსიმალური ეფექტის მიღებას.
- საგანგებო სიტუაციების მართვის ძირითადი კომპონენტების მიხედვით პრაქტიკული ქმედებებისა და ღონისძიებების დაგეგმვას და მათი განხორციელებისათვის ორიგინალური გზების გამოძებნას არსებული ნორმების ფარგლებში.
- აკადემიური ნაშრომის დამოუკიდებლად შესრულებას, სათანადო სამეცნიერო მასალის გამოყენებით და აკადემიური წერის ძირითადი სტანდარტების დაცვას;
- არასრული და/ან განსხვავებული მონაცემების საფუძველზე სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას და საკვლევი თემატიკის სრულყოფას.

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- საპოლიციო ღონისძიების განხორციელებისას გაანალიზოს კონკრეტული ინფორმაცია და მიიღოს ადეკვატური გადაწყვეტილება, რომელიც დამყარებული

იქნება სამეცნიერო შეხედულების თუ სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, ადამიანის უფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებით;

- ადეკვატურად შეაფასოს არსებული სიტუაცია და გააკეთოს დასკვნა რა სახის პოლიციური ღონისძიებაა საჭირო; გააკეთოს ლოგიკური და სამართლებრივი დასკვნა შესაბამისი იძულების ღონისძიებათა გამოყენებასთან დაკავშირებით;
- კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, საგამომიებო პრაქტიკის მიდგომების პრობებში მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე ჩამოაყალიბოს საგამომიებო ვერსიები, შეადგინოს საგამომიებო გეგმა და გადაამოწმოს საქმეზე არსებული ყველა ვერსია;
- კვლევის ჩატარებას საპოლიციო რეგულირების სფეროში არსებულ პრობლემურ ან შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებით, სასამართლო პრაქტიკის ან მეცნიერული მიდგომების გამოყენებით ცვლილებების ანალიზს და მათ საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებას;
- არსებული არასრული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე ოპერაციული გეგმის შემუშავებისას მოვლენათა შესაძლო განვითარების განსაზღვრას და ადეკვატური გადაწყვეტილების მიღებას;
- არსებული პრაქტიკის განზოგადებასა და ადმინისტრაციული სამართლის ნორმების ლეგალურ თუ დოქტრინალურ განმარტებაზე დაყრდნობით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებას;
- კრიმინოლოგიაში შემუშავებულ თეორიების, სასამართლო პრაქტიკის და კრიმინოლოგიის ქართული მოძღვრების ანალიზის საფუძველზე, ჩამოაყალიბოს საკუთარი შეხედულებები დანაშაულის გამომწვევ მიზეზებზე;
- გაანალიზოს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევების თავისებურებები და გააკეთოს სათანადო დასკვნები მათი შემცირებისათვის საჭირო გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ;

- კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შეაფასოს მის ხელთ არსებული მტკიცებულებების მიმართება/საკმარისობა პროცესის კონკრეტულ სტადიაზე დასაკმაყოფილებელ მტკიცებულებით სტანდარტებთან;
- დასამტკიცებელი გარემოებების წრის განსაზღვრას, კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ახსნას და დაასაბუთოს კონკრეტული საგამომიებო მოქმედების ჩატარებით მტკიცებულების მოპოვების მართებულობა/მიზანშეწონილობა;
- ორგანიზაციის დანიშნულების და პერსონალის შესაძლებლობების კრიტიკულ გაანალიზებას, არსებული სირთულეების დიაგნოსტირებას, რის საფუძველზეც განსაზღვრავს სოციალურ, კულტურულ და მატერიალურ მოტივატორებს;
- რეალურად შეაფასებს თავის ფიზიკურ შესაძლებლობებს მოწინააღმდეგესთან მიმართებაში და სიტუაციის შესაბამისად მიიღებს გადაწყვეტილებას სათანადო ძალის გამოყენების შესახებ;
- კონფლიქტური სიტუაციების ობიექტურად შეფასებას, გაანალიზებას, და სიტუაციის მოგვარებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებას;
- საქმის შესწავლისას ძირითადი და მეორეხარისხოვანი საკითხების იდენტიფიცირებას და საჭირო ნორმის გამოყენებით დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას;
- შექმნილი ვითარების გაანალიზების საფუძველზე შემთხვევისათვის საგანგებო სიტუაციის სტატუსის მინიჭებას;
- სამიზნე ობიექტის ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლების გათვალისწინებით, დაადგინოს, სამიზნე ობიექტთან კომუნიკაციის პროცესში მიღებული ვერბალური თუ არავერბალური ინფორმაციის მართებულობა, დროულად გამოიტანოს დასკვნა და მიიღოს ადეკვატური გადაწყვეტილება საკუთარი ქმედებების დაგეგმვის და განხორციელების შესახებ.

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- პოლიციელის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას მოქალაქეებთან კონტაქტში შესვლას, მათთვის გასაგებ ენაზე მათი უფლებებისა და დაცვის მექანიზმების განმარტებას;
- მედიასთან ურთიერთობისას განმარტოს გამოყენებული ლონისძიებისა და საგამოძიებო მოქმედების ინტენსივობის აუცილებლობა და თუ რატომ უნდა ჩაითვალოს მის მიერ განხორციელებული მოქმედება უფლების შეზღუდვად და არა დარღვევად;
- პროფესიული საპოლიციო ტერმინოლოგიის გამოყენებით, როგორც თანამშრომლებთან, ასევე აკადემიური და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან დისკუსიის წარმართვას;
- დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებთან შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით, მათთვის დამახასიათებელი მანერებითა და ქესტიკულაციით ურთიერთობების დამყარებას;
- საპოლიციო რეგულირების სამართლის სფეროში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაციას, საკუთარი სამართლებრივი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის მეთოდების გადაცემას აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისათვის მშობლიურ და ინგლისურ/გერმანულ ენაზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტების გათვალისწინებით;
- ბრძანებების იმგვარად გაცემას, რომ დაარწმუნოს სამართალდამრღვევი შეწყვიტოს წინააღმდეგობა და საზოგადოებისთვის საშიში ქმედება;
- საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელსა თუ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს, მის საქმიანობაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით მისცეს განმარტება დანაშაულობის პრობლემურ საკითხებზე, როგორც წერილობით ასევე

ვერბალურად და კრიმინოლოგიური პოზიციებიდან, არგუმენტულად დაასაბუთოს თავისი მოსაზრებები;

- თანამშრომელთან, მოქალაქესთან და დარგის სპეციალისტებთან კომუნიკაციის პროცესში საკუთარი ემოციების მართვას, ინფორმაციის თითოეულისათვის გასაგები ფორმით მიწოდებას და საჭიროების შემთხვევაში კონსტრუქციულ კრიტიკას;
- ინგლისური/გერმანული ენის დამოუკიდებლად გამოყენებისათვის B2(+) შესაბამისი სირთულის წერით და ზეპირ კომუნიკაციას;
- კვლევის მეთოდების, აკადემიური პატიოსნებისა და სტანდარტების გამოყენებით შესრულებული სამეცნიერო ნაშრომის წერილობით და ზეპირი ფორმით ინდივიდუალურად ან ჯგუფურად წარდგენას აკადემიური საზოგადოების წინაშე, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გამოყენებით;
- აგრესიულ მოქალაქესთან ურთიერთობის დამყარებას შესაბამისი ტექნიკების გამოყენების საფუძველზე.

სწავლის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- პრაქტიკის განზოგადების და შესაბამისი წყაროებიდან ინფორმაციის დამოუკიდებლად დამუშავებას;
- სამართალდარღვევასთან დაკავშირებით საჭირო დამატებითი ნორმატიული მასალის, მეცნიერული აზრის და სასმართლო პრაქტიკის კომპლექსურად დამუშავებას, სინთეზს და ამ ფონზე არსებული ცოდნის გაფართოებას;
- მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოცდილების სინთეზის საფუძველზე დამოუკიდებლად შეჯერებას. სამართლის სფეროს უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით ცოდნის გაფართოებას და სამეცნიერო შეხედულებების განზოგადებას;

- სამართლის სფეროში ახალ მიდგომათა დამოუკიდებლად ათვისებას, რეგულარულად განახლებას და გადრმავებას;
- საკუთარი სასწავლო პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვას;
- სამეცნიერო ლიტერატურიდან და საინფორმაციო წყაროებიდან მიღებული ცოდნის რეგულარულად განახლებას და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მაღალი ხარისხით სწავლის დამოუკიდებლად წარმართვას.

ღირებულებები

- კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება დამოკიდებულება, რომ ადამიანის უფლებების დაცვით პოლიციის საქმიანობა უფრო მარტივდება, რადგანაც ადამიანის უფლებათა დამცველი პოლიციისადმი საზოგადოების ნდობა უფრო მაღალია, რაც პოლიციასთან მოქალაქეების თანამშრომლობას აადვილებს;
- კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება წამების დაუშვებლობის აღქმა და გაიაზრებს წამების აკრძალვის აბსოლუტურ ბუნებას, საქმიანობისას მისთვის მიუღებელი იქნება ყოველგვარი სახის დამამცირებელი თუ არაადამიანური მოპყრობა მოქალაქეებისადმი;
- კურსდამთავრებულს გათავისებული ექნება, რომ მან უნდა დაიცვას უპირველესად ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ღირსება, საკუთრება და სხვა სამართლებრივად დასაცავი სიკეთეები, როგორც კაცობრიობის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი;
- კურსდამთავრებული მხარეთა ინტერესების დაბალანსების მიზნით აანალიზებს საპოლიციო სამართლის სფეროში არსებულ სამართლებრივ ღირებულებებს და შეაქვს წვლილი საპოლიციო საქმიანობის კანონიერების და სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებაში;
- კურსდამთავრებული სრულად გაიაზრებს საპოლიციო რეგულირების სამართლის სფეროში შემავალი საკითხების როლსა და მნიშვნელობას საზოგადოებრივი უსაფრთხოების, სტაბილურობისა და კანონის უზენაესობისათვის. გაითავისებს

პოლიციის, როგორც სამართალდამცავი ინსტიტუტის როლსა და მნიშვნელობას დემოკრატიული ფასეულობების დაცვისათვის, რაც ხელს შეუწყობს ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანას;

- კურსდამთავრებული შეძლებს საკუთარს და არსებული პერსონალის მორალური, ეთიკური და კულტურული ღირებულების შეფასებას და ორგანიზაციაში ჯანსაღი ატმოსფეროს შესაქმნელად ფასეულობათა სისტემის დამკვიდრებას;
- კურსდამთავრებულს გათავისებული ექნება კოლექტივის თითოეული წევრის მნიშვნელობა, მათი უფლებები, მოვალეობები და პატივს სცემს მათ პიროვნებას;
- კურსდამთავრებული წვლილს შეიტანს აკადემიური პატიოსნების ღირებულებითი კატეგორიის დამკვიდრებაში სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის პროცესში.

სპეციალობის არჩევითი საგნები

სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს ეცოდინება/გაცნობიერებული ექნება:

- ოჯახში ძალადობის გამომწვევე ძირითადი ფაქტორები და ოჯახში ძალადობის, როგორც თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი სერიოზული პრობლემის მნიშვნელობა;
- ოჯახში ძალადობის ფაქტზე პოლიციელის მიერ პრობლემების გადაჭრის მეთოდები და გზები. დამცავი და შემაკავებელი ორდერების სამართალწარმოების სპეციფიკა;
- ბავშთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების მიზნები, პროცედურებში ჩართული სუბიექტების უფლება-მოვალეობები, რეფერირების სისტემა და სამართალდამცავი ორგანოების ვალდებულებები აღნიშნულ პროცედურებში ჩართვისას;

- არასრულწლოვანთა სოციალური, ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური ფაქტორები, რაც საშუალებას მისცემს კომლექსურად გააცნობიეროს ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებთან მიმართებაში;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საერთაშორისო და შიდასამართლებრივი ნორმების ურთიერთმიმართება, რის საფუძველზეც შეძლებს დასმული პრობლემების ახლებული ხედვის ფორმირებას;
- განრიდების ან/და მედიაციის გამოყენების ინსტიტუტის ფუნდამენტური საკითხები და მათი გამოყენებით ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზები;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით პრევენციის მნიშვნელობა და მისი როლი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში;
- პოლიციის წარმოშობის ისტორიული საფუძვლები, მისი სტატუსი, სტრუქტურა და როლი სახელმწიფოს უსაფრთხოების ორგანიზაციაში ჩვენს წელთაღრიცხვამდე პერიოდში, შუა საუკუნეებში და თანამედროვე ეტაპზე;
- მსოფლიოს საპოლიციო სისტემების ძირითადი თავისებურებები და ფუნქციონირების სპეციფიკა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- სიღრმისეულად სისხლის სამართალში დასახელებული ობიექტური შერაცხვის რამდენიმე პრობლემატური შემთხვევის შესაბამისად მიზეზობრივი კავშირის დადგენას ქმედებასა და შედეგს შორის, ასევე მიზეზობრივი კავშირის არსებობის მიუხედავად ობიექტური შერაცხვის გამორიცხვას;
- სისტემურად დანაშაულის კვალიფიკაციის დროს განსაზღვროს დანაშაულის ჩადენის სტადიები და შესაბამისი სამართლებრივი შეფასების საფუძველზე მოახდინოს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საკითხის დასმა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ადების შემთხვევაში;

- სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი მნიშვნელოვანი დანაშაულების ნიშნების კომპლექსურ შეფასებას და ქმედებისთვის კვალიფიკაციის მინიჭებას, რომლებიც მიმართულია სიცოცხლის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, საკუთრების, საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის და მართველობის წესის წინააღმდეგ;
- არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა იდენტიფიცირების, მის მიერ დანაშაულის გამომწვევ მიზეზების კომპლექსურ შეფასებას და პრობლემის გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავებას;
- განსაზღვროს თუ რა სახის იძულებითი ხასიათის ღონისძიებები შეიძლება იქნას გამოყენებული არასრულწლოვანთა მიმართ, ასაკობრივი დიფერენციაციის გათვალისწინებით, რომლებმაც დაარღვიეს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები;
- არასრულწლოვანთა დანაშაულის რისკფაქტორების იდენტიფიცირებას, მათ შეფასებას და სათანადო პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას/გატარებას.
- გამოავლინოს და აღკვეთოს ოჯახში ძალადობის შემთხვევები, იმოქმედოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით თავისი კომპეტენციის ფარგლებში და შესაბამისი პროცედურების დაცვით შექმნას ძალადობისაგან მსხვერპლთა დაცვის ქმედითი გარანტიები;
- ბავშვზე ძალადობის ფაქტების გამოვლენას, აღკვეთას, შესაბამის სამართალწარმოებას, ძალადობის მსხვერპლთა დაცვას და სააგენტოს ინფორმირებას;
- ექვსი ქვეყნის (გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი, გერმანია, ჩინეთი, იაპონია, საუდის არაბეთი) საპოლიციო სისტემების სხვადასხვა მიმართულებების შედარებით-სამართლებრივი კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მოძიებას;

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- ოჯახში ძალადობის შესახებ არსებული თეორიების, ძალადობის არსის, ძალადობის განმაპირობებელი ფაქტორების ცოდნის საფუძველზე პრობლემის ზუსტად ამოცნობას, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, მონაცემებისა თუ სიტუაციის შესაბამისად ზუსტი ანალიზისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას;
- ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების ცოდნის საფუძველზე ფაქტობრივი მონაცემების ანალიზს და დასაბუთებული დასკვნების გაკეთებას;
- ადეკვატურად შეაფასოს მსოფლიოს სხვადასხვა საპოლიციო სისტემებს შორის მსგავსებები და განსხვავებები.განსხვავებები.

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- ვერბალური კომუნიკაციის დამყარებას დანაშაულის მსხვერპლ/მოწმე არასრულწლოვნებთან და მათგან როგორც მოწმისაგან, ჩვენების ფორმირების პროცესის ორგანიზებას.

ღირებულებები

- კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება დამოკიდებულება, რომ არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის შემთხვევაში პოლიციისადმი მათი ნდობა იზრდება, რაც წარმოადგენს პრევენციულ ღონისძიებათა ხელშემწყობ გარემოებას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

ქულა	შეფასება	
91%-100%	A	ფრიადი
81%-90%	B	ძალიან კარგი
71%-80%	C	კარგი;
61%-70%	D	დამაკმაყოფილებელი;
51%-60%	E	საკმარისი;
უარყოფითი შეფასება		
41%-50%	FX	ვერ ჩააბარა
≤ 40%	F	ჩაიჭრა

უარყოფითი:
 FX = ვერ ჩააბარა (სტუდენტს ეძლევა დამატებით ზეპირ გამოკითხვაზე (გამოცდაზე) ერთხელ გასვლის უფლება გამოცდიდან 10 დღის შემდეგ);
 F = ჩაიჭრა (სტუდენტს სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი).

1. პერიოდული გამოკითხვა - 30 ქულა
 2. შუალედური გამოცდა ტარდება სწავლების მე-8 და მე-9 კვირაში, ფასდება 30 ქულით და მოიცავს 2 ან მეტ კომპონენტს (კაზუსი, ტესტი, ესსე და სხვა).
 3. დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა (მინიმალური ზღვარი 21 ქულა), ტარდება მე-17 და მე-18 კვირაში. გამოცდა მოიცავს 2 ან მეტ კომპონენტს (კაზუსი, ტესტი, ესე და სხვა);

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესი:
 1. შუალედური გამოცდა - 30 ქულა
 2. შინაარსობრივი მხარე - 50 ქულა
 3. ტექნიკური მხარე - 20 ქულა
 შეფასების კომპონენტები დეტალურად მოცემულია სილაბუსში

მაქსიმალური შეფასება - 100 ქულა.

საგანში დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარი არის 51 ქულა.

დასკვნითი გამოცდა სარგებლობს უპირატესი მნიშვნელობით.

პრაქტიკის შეფასება

საწარმოო პრაქტიკა ფასდება 100 ქულიანი სისტემით და შესაბამისი კრედიტი სტუდენტს მიენიჭება 51 ქულის დაგროვების შემთხვევაში.

საწარმოო პრაქტიკის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი კომპონენტები:

1. პრაქტიკის ბარათი - 20 ქულა;
2. პრაქტიკანტის დღიური - 60 ქულა;
3. საწარმოო პრაქტიკის შეფასების ფურცელი - 20 ქულა;

პრაქტიკის ბარათის და პრაქტიკანტის დღიურის ფორმები თან ერთვის სილაბუსს

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: პროგრამა არ ითვალისწინებს კვალიფიკაციის მინიჭებას. შესაბამისი კრედიტების დაგროვებისა და სარეიტინგო გამოცდის ჩაბარების შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი.

სწავლების საფეხური: ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 60 ECTS – 1500 საათი.

პროგრამის ხანგრძლივობა - 1 წელი/2 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას (აქედან 14 კვირა სასწავლო-სააუდიტორიო და 6 კვირა საგამოცდო). ერთი კრედიტი მოიცავს 25 საათს (სტუდენტის დატვირთვა შესაბამისი კრედიტის ფარგლებში დაკონკრეტებულია სილაბუსებში).

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი:

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, საქართველოს სახელმწიფო ენა - ქართული ენა - B2 დონეზე შეასწავლოს საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, რომლებიც ვერ ფლობენ ქართულ ენას და, ასევე - ქართული ენის არმცოდნე სხვა პირებს. პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტს შეეძლება:

- სალიტერატურო ქართულ ენაზე თავისუფალი ზეპირი და წერილი კომუნიკაცია; ბუნებრივი, ძალდაუტანებელი საუბრის წარმართვა; ნათქვამის დაწვრილებითი გაგება; საქმიანი საუბრის წარმართვა.
- ინფორმაციის ინტენსიურად მიღება და დამუშავება;
- სწავლის გაგრძელება ბაკალავრიატში არჩეული სპეციალობის მიხედვით: ლექციების მოსმენა და სემინარების მომზადება;

- უნივერსიტეტის გარემოსა და, ზოგადად, ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირება, რათა თავი იგრძნოს მის აქტიურ წევრად;

- სწავლების პროცესში განვლილი მასალის შესაბამისად, ქართული ეროვნულ-კულტურული ღირებულებების შესწავლა და დაცვა.

პროგრამა ორიენტირებულია ისეთი ტიპის თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებაზე, რომელიც განაპირობებს არა მარტო სახელმწიფო ენის ფლობას, არამედ სახელმწიფო სამსახურში დაუბრკოლებლად, ენობრივი ბარიერის გადალახვის გარეშე მუშაობას არჩეული სპეციალური საუნივერსიტეტო (საბაკალავრო) განათლების მიღების შემდეგ.

სწავლის შედეგი:

სწავლის შედეგები ასახავს კურსდამთავრებულის მიერ პროგრამის გავლით მიღებულ ცოდნასა და უნარებს. კურსდამთავრებული შეისწავლის ქართულ სალიტერატურო ენას და დაეუფლება შემდეგ კომპეტენციებს:

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს ეცოდინება/გაცნობიერებული ექნება:

- ქართული სალიტერატურო ენის ფონეტიკური სტრუქტურა (ხმოვანთა და თანხმოვანთა სისტემები);
- ძირითადი მორფოლოგიური და სინტაქსური კატეგორიები (სახელის ბრუნება; თანდებულიანი ფორმები; რიცხვის კატეგორია; ზმნის უღლება, პირის ნიშანთა სისტემა; ძირითადი დროები და კილოები; სახელისა და ზმნის რიცხვში შეთანხმების საკითხები);
- ლექსიკა და ფრაზეოლოგია - გავრცელებული გამოთქმები და ენობრივი კლიშეები, რომლებიც სჭირდება ნაცნობ თემებზე (მაგ.: ინფორმაცია პიროვნების შესახებ - ოჯახური მდგომარეობა, ეროვნება, პროფესია, გარეგნობა, ხასიათი... საცხოვრებელი გარემო, თავისუფალი დრო, გართობა, ტრანსპორტი, მგზავრობა,

ამინდი, ჯანმრთელობა, განათლება, სურსათ-სანოვაგე, საყიდლები...) სასაუბროდ;

- სხვადასხვა ტიპის ტექსტების (კატალოგის, აფიშის, პოსტერების, აბრების, მოსაწვევის, მისალოცი ბარათის, შეტყობინების, პირადი წერილის, მოკლე ბიოგრაფიის, განცხადების, პატაკის, ახსნა-განმარტების...) ტერმინოლოგიური, ენობრივი და სტრუქტურული მახასიათებლები.
- მოსმენის, ლაპარაკის, კითხვისა და წერის ძირითადი სტრატეგიების დანიშნულება;
- უმაღლესი ქართულენოვანი განათლების მნიშვნელობა;
- ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი ელემენტები, კულტურული ძეგლების მნიშვნელობა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- ბაკალავრიატში შერჩეული სპეციალობის მიხედვით ქართული ენის პრაქტიკულ გამოყენებას;
- საუბრის/დიალოგის წარმართვას;
- ქართულ ენაზე ტექსტების მოსმენას, გაგებას, თარგმნას, ანალიზს, ინტერპრეტაციას;
- ქართული ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების გამოყენებას;
- სხვადასხვა ტიპის ტექსტის რედაქტირებას, კომენტირებას, ანოტირებას;
- კონკრეტული, ვიწროდარგობრივი მონაცემების გააზრებას როგორც ლინგვისტური, ისე ისტორიულ-კულტუროლოგიური მონაცემების კონტექსტში.
- კონკრეტული ენობრივი ფაქტების განზოგადებას და ისტორიულ კონტექსტში განხილვას.

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარებით, სხვადასხვა ტიპის წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზებასა და შეჯამებას;
- ფაქტებისა და მოსაზრებების შედარება-შეპირისპირების საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბებას როგორც ზეპირად, ისე წერილობით.

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- სიტუაციაში ადაპტირებას;
- ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას ქართულ ენაზე;
- სხვადასხვა ტიპის აუდიტორიისათვის შესაბამისი ტექსტის მომზადებასა და წარდგენას; მისთვის კითხვების დასმას, ასევე - აუდიტორიის კითხვებზე პასუხის გაცემას;
- დიალოგსა და დისკუსიაში მონაწილეობას, საკუთარი შეხედულების არგუმენტირებას;
- ინდივიდუალურ და გუნდურ მუშაობას.

სწავლის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- საკუთარი ცოდნის თანმიმდევრულად შემოწმებას, თვითშეფასებას;
- სიახლეებზე ორიენტირებას; ენობრივი კომპეტენციის ამაღლების მიზნით შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრასა და დაგეგმვას;
- დამოუკიდებელი გადაწყვეტილების საფუძველზე სათანადო რესურსებისა და აქტივობების შერჩევას.
-

ღირებულებები

- ინტერკულტურული ღირებულებები;

- განსხვავებული კულტურების წარმომადგენელთა ურთიერთობის ეთიკა;
- კულტურათაშორისი ეფექტური კომუნიკაციის დანიშნულება და არსი;
- ქართულ კულტურულ გარემოსთან ადაპტირება და სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება.
- ქართული ეროვნულ-კულტურული და სახელმწიფოებრივი ფასეულობების დაცვის მოქალაქეობრივი შეგნება.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

ქულა	შეფასება	
91%-100%	A	ფრიადი
81%-90%	B	ძალიან კარგი
71%-80%	C	კარგი;
61%-70%	D	დამაკმაყოფილებელი;
51%-60%	E	საკმარისი;
უარყოფითი შეფასება		
41%-50%	FX	ვერ ჩააბარა
≤ 40%	F	ჩაიჭრა

უარყოფითი:
FX = ვერ ჩააბარა (სტუდენტს ეძლევა დამატებით ზეპირ გამოკითხვაზე (გამოცდაზე) ერთხელ გასვლის უფლება გამოცდიდან 10 დღის შემდეგ);
F = ჩაიჭრა (სტუდენტს სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი).

1. პერიოდული გამოკითხვა - 30 ქულა
2. შუალედური გამოცდა ტარდება სწავლების მე-8 და მე-9 კვირაში, ფასდება 30 ქულით და მოიცავს 3 კომპონენტს (ზეპირი გასაუბრება, წერა მოცემული თემის მიხედვით, ლექსიკური / გრამატიკული სავარჯიშოები და სხვა).

3. დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა (მინიმალური ზღვარი 21 ქულა), ტარდება მე-17 და მე-18 კვირაში. გამოცდა მოიცავს 3 ან მეტ კომპონენტს (ზეპირი გასაუბრება, წერა მოცემული თემის მიხედვით, ლექსიკური / გრამატიკული სავარჯიშოები, გამოტოვებული ტექსტის აღდგენა და სხვ.).